| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



## სასწავლებელი და პანსიონი ს. პ. ზ. ჯორჯიკიასი.

(ქუთაისში)

პირველ სექტემბრიდგან პანსიონერებს მიიღებს წლიურად 180 მანეთად. გარედგან მოსიარულეთაგან აიღებს თვეში სამ-სამს მანეთს მოსამზადებელს და პირველს კლასში მომზადებისათვის. ყმაწვილებს ამზადებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა, რეალურ, სამოქალაქო და სხვა სასწავლებლის ყველა კლასისათვის. ზაფხულშიაც ქუთაისში რჩება. (13—12)

## ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში, იქ, სადაც „ივერიის“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

ყოველ გვარს სასტამბო საქმეს ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.


## ახალი ამბავი

*** ხვალ, ორშაბათს, კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებას პირველი კრება ექნება ზაფხულს შემდეგ. კრება საღამოს $7^1/_2$ საათზეა დანიშნული სამკურნალო სამართველოს სადგომში, საპერების ქუჩაზე. სხვათა შორის წაკითხული იქნება ორი რეფერატი: ექიმის ნ. ა-ძის სასაროვისა და ი. პ-ძის სოლუხასი. გარეშეთაც შეუძლიან დაესწრნენ ამ კრებას.

*** მომავალ წლის 2 იანვარს ოც-და-ხუთი წელიწადი შესრულდება, რაც ჩვენს ქალაქში კავკასიის მუზეია დაარსებული. ამ დღისათვის მუზეის დირექტორი ბ-ნი გ. რადე ცალკე წიგნს ამზადებს, რომელშიაც მოთხრობილი იქნება მუზეის ისტორია, აღნიშნული იქნება ყველას გვარი, ვისაც რამ შემწეობა აღმოუჩენია ამ დაწესებულებისათვის და აგრეთვე სრული აღწერილობა მუზეის ქონებისა.

*** ძალიან გაუხშირეს ჩვენს რკინის გზაზედ მატარებლების, თუ გზის გადაცილებასა ბ თუ დაჯახებას. თითქმის დღე არ გაივლის, რომ ხან აქედამ და ხან იქიდამ ამის შესახებ ამბავი არა მოვიდეს-რა.

აი, ხუთშაბათსაც, ამ თვის 29-ს, დილით, სადგურს ფოილოზედ, ცოტას გამწყდარა უბედურება არ დატრიალებულა. ქალაქიდამ ბაქოსაკენ საქონლის მატარებელი № 21 მნავალა და სადგური ფოილო ისე გაურბენია, არც-კი შეუტყვია მემაშინეს. განაპირა, სულ გარედ ისარზედ რომ შემდგარა მატარებელი, მხოლოდ მაშინ შეუტყვიათ და შეუჩერებიათ. ამ დროს უკანა ექვსი ნავთის ვაგონი ლიანდაგს გადამცდარა, ვაგონები არ დამსხვრეულა, მხოლოდ მცირეოდნად დაზიანებულა; არც ვინმე მოსამსახურეთაგანი დასახიჩრებულა, მაგრამ ვაგონების აწევამ და გზის გაწმენდამ სამ საათამდე დრო მოინდომა თურმე. ამიტომაც ბაქოდამ ქალაქში მომავალი სახალხო მატარებელი აღსტაფას სადგურზედ შეაჩერეს და ელოდდა გზის განთავისუფლებას. ტფილისიდამ ბაქოს ღამით გასული სახალხო მატარებელი-კი სადგურს სალი-ოღლიზედ გააჩერეს. ბაქოს მატარებელმა იმდენად დაიგვიანა (დილის მეთერთმეტე საათზე მოვიდა ქალაქს), რომ ხუთშაბათს ბათუმისაკენ მიმავალმა მატარებელმა აღარ მოუცადა ბაქოს მატარებელს და თავის დროზედ გავიდა ქალაქიდამ.

სადგურს ფოილოზედაც ამ დროს განმავლობაში ოთხმა საქონლის მატარებელმა მოიყარა თურმე თავი და ელოდნენ, როდის გაგვეხსნება გზაო.

*** სენატმა ისე განმარტა, რომ ქალაქის საბჭო მოვალეა, პენსია აძლიოს თავისს მოსამსახურეს, თუ რომ გადაჭრილი ვადა ნამსახური აქვსო.

*** ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში მისაღები ეგზამენები გათავდა. როგორც გვაცნობეს, წელს შემსვლელთა რიცხვი 60 მდე ყოფილა, ხოლო მიუღიათ 20 კაცი. ამასთანავე ისიც დასძინეს, რომ წინა წლებში მსურველთ რიცხვი ბევრად აღემატებოდა წლევანდელს რიცხვსაო.

ამავ ინსტიტუტთან გამართულს სამოქალაქო სამ-კლასიან სასწავლებელში მხოლოდ პირველსა და მეორე კლასში იყო 34 კაცის თავისუფალი ადგილი, მესამეში-კი ადგილი არ იყო. სულ სამს კლასში წელს 256 ყმაწვილი იქნება მოსწავლე: I-ლ კლასში 72 ყმაწვილი, მე-II—114 და მე-III—70. თითო კლასი ორ განყოფილებადაა დაყოფილი, მაშასადამე თითო განყოფილებას კლასში მასწავლებელი ნახევარ საათზე მეტს ვერ მოანდომებს. სად უნდა გასწვდეს ამდენ სულს ყმაწვილს ერთი კაცი, როდის უნდა მოასწროს გამოკითხვა გაკვეთილებისა? რამდენს თვეში შეხვდება თითო მოსწავლეს პასუხის გება, რაც უნდა გულ-მოდგინედ მონდომებული იყოს მასწავლებელი, რომელსაც 114 ყმაწვილი ახვევია თავს?

ერთის მხრით სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბევრი ყმაწვილი ვერა სწავლობს, ხელ-მეორედ ეგზამენი სჭირდება, მაგრამ მაინც ვერ იჭერს, რადგან წლის განმავლობაში რაც ვერ შეუთვისებია და ზარმაცობის გამო უკან ჩამორჩენია თავის ამხანაგს, ზაფხულში უფრო უორკეცდება სიზარმაცე და ვერა სძლევს. ეს არის, ჩვენის ფიქრით, დედა მიზეზი იმისა, რომ ბევრი რჩება კლასში მოსწავლე და ამიტომ ადგილიც ცოტა იხსნება ახალის მსურველისათვის. ცხადია, სანამ სამს მასწავლებელს სამ-კლასიან სამოქალაქო სასწავლებლისას, სადაც 256 ყმაწვილი ბუზივით თავს ესევათ, ამ მძიმე ტვირთს არ შეუმსუბუქებენ, მათი შრომა და ჯაფა სასურველს ნაყოფს ვერ მოიტანს.

*** ამას წინად ნათქვამი გვქონდა, რომ სამს ადგილას აპირებს რკინის გზის მართველობა სამ-კლასიანს სასწავლებლების გამართვას, სწორედ იმ პროგრამით, როგორიც სამოქალაქო სასწავლებელიაო: ტფილისში, ხაშურში და განჯაში. როგორც შევიტყეთ, ტფილისის სასწავლებელს ოქტომბრის 1-ლ რიცხვამდე ვერ გაჰმართავენ, რადგან სადგომი არ აქვთ ჯერ დამზადებულიო. სასწავლებელი დიდუბის ეკკლესიის ახლოს იქნება გამართულიო.

ამ სკოლის გამგე-მასწავლებელნი უკვე დაუნიშნავს რკინის გზის მთავრობას: სკოლის ინსპექტორად იქნება თელავის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი სემიონოვი, მასწავლებლებად: გორის სამოქალაქო სკოლის მასწავლებელი ა. ქვლივიძე და ალექსანდრეს ინსტიტუტში წელს სწავლა-დამთავრებული ბ-ნი ნანაბაშვილი. სასწავლებელში უფრო რკინის გზაზედ მოსამსახურეთა შვილებსა და ნათესავებს მიიღებენ.

*** ტფილისის ყველა სასწავლებელში მისაღები ეგზამენები გათავდა და ვინც მისაღები

## ფელეტონი

### პურის ქერქი

(ფრანსუა კოპესი)

— ძალიან მოგშივებია, ამხანაგო! ჰკითხა ჰერცოგმა ჯარის-კაცს, რომელსაც მიუახლოვდა.

— როგორც ჰხედავო, უპასუხა მან და თან მაგრად ილუკმებოდა.

— მომიტევე, თუ ღმერთი გწამს... რომ მცოდნოდა, ჩემს პურს აღარ გადავაგდებდი.

— არაფერია! მიწიდგან აღებულს პურსაც კარგად გიახლები.

— მაინც-კი ვიცი, რომ ცუდად მოვიქეცი და ვნანობ. მე სულაც არა მსურს, რომ შენ ჩემს შესახებ ცუდის აზრისა იყო და რადგან კარგი არაყი მაქვს, მოდი ერთად დავლიოთ.

ჯარის-კაცმა ჰამას თავი დაანება, თითო ჰიქა კარგი არაყი გადაყლურჰეს და ამით უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს, იმათს ნაცნობობას საძირკველი დაედო.

— რა გქვიანო? ჰკითხა ჯარის-კაცმა.

— გარდიმონი, მიუგო ჰერცოგმა და განგებ თავისი ვინაობა დაუმალა: შენა?..

— ჟაკ-ვიქტორ... ეს-ეს არის სამკურნალოდგან გამოვედი. შანტალიონთან დამჰრეს... აჰ, დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი, რა კარგი იყო იქ, სამკურნალოში, ყოფნა!.. იქ ისეთს მშვენიერს ცხენის ხორცს გვაჭმევდნენ, რომ თითებს დაიკვნეტდა ადამიანი. მე სუბუქად ვიყავ დაჭრილი და მაიორმა ადრე მიბძანა სამკურნალოდგან გამოსვლა. ეხლა ისევ შიმშილმა უნდა გამანახევარკაცოს... უნდა გამოგიტყდე, ამხანაგო, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე შიმშილში გავატარე.

ეს სიტყვები საშინლად ეჩვენა განებივრებულს ჰერცოგს, რომელიც ეს-ეს არის ინგლისის სასტუმროებზედ ოცნებობდა. ყმაწვილმა კაცმა გაკვირვებით, თითქმის შიშით შეჰხედა თავის ამხანაგს. ჯარის-კაცმა მწარედ ჩაიცინა და გამოაჩინა თავისი თეთრი კბილები, რომელიც მშიერ მგლის კბილებსა ჰგავდა. შემდეგ, თითქოს მიხვდაო ჰერცოგის ვინაობას, მან უეცრივ „თქვენობით“ გაუბა ლაპარაკი.

— თუ ინებებთ, გავიაროთ ცოტა, ფეხები გავითბოთ, და ისეთს რასმე გიამბობთ, რომ ჯერ უთუოდ არ გაგეგონებათ. მე მქვიან ჟაკ-ვიქტორ, გვარი არა მაქვს, რადგანაც უკანონო შვილი ვარ. სიამოვნებით გავიხსენებ ხოლმე იმ სახლს სადაც მოწყალებისთვისა მზრდიდნენ. იქ ჩვენ თეთრი ზეწრები გვქონდა სუფთად გადაფარებული პაწაწინა ლოგინებზე. ჩვენთვის საუცხოვო სათამაშო იყო გამართული ბაღში ხეებს ქვეშ! გვყავდა ერთი კეთილი მომვლელი ქალი, სულ ახალგაზდა, გამხმარი და წმიდა სანთელსავით თეთრი. საწყალი ჭლექისაგან გარდაიცვალა. ცხონებულს ძალიან ვუყვარდი და ხშირად მივიდოდი ხოლმე იმასთან. დამადებდა შუბლზედ თავისს გამხმარსა და ცხელს ხელებს და დიდხანს, დიდხანს ვიჯექით ერთად... მაგრამ თორმეტის წლის შემდეგ-კი მწუხარებისა და სიღარიბის მეტი აღარ მახსოვს-რა. შეგირდად ერთს ავეჯის გადამკვრელს მიმაბარეს და იქ დავიწყე პირველად შიმშილით ტანჯვა. ჩემი ოსტატი და ოსტატის ცოლი საშინელი პურ-შავები და პურა-ძვირები იყვნენ და საჭმელს დაკეტილში ინახავდნენ. უნდა გენახათ ჩემის ოსტატის ძუნწი ცოლი ვახშმის დროს, როცა ის ამოიოხრებდა ხოლმე ერთის კოვზის წვენის დასხმაზე და გაბრაზებული მომაწოდებდა მათლაფას. საუბედუროდ, მე ყოველთვის ძაღლის მადა მქონდა. განა ჩემი ბრალია? ასე გავატარე სამი წელიწადი. ეს ხელობა შეიძლება ერთს თვესაც ისწავლოს კაცმა, მაგრამ რომელი ოსტატი შეიტკიებს თავს შეგირდისათვის. თქვენ გაგიკვირდათ, მე რომ მიწიდგან პური ავიღე? ჩემი ჩვეულებაა. ხშირად ამომიფხეკია ტალახიდგან პურის ქერქები და როცა მეტად ხმელი ყოფილა, მთელის ღამეობით წყალში მილბია და ისე მიჭამია. ბევრჯელ შემხვედრია ტალახშივე პატარ-პატარა ფუნთუშა პურიც, რომლებსაც ბავშვები თავიანთ ჩანთებიდგან აბნევენ სასწავლებლიდგან დაბრუნების დროს. ბოლოს, როცა სწავლა გავათავე, ჩემმა ხელობამ კუჭი ვერ გამომიძლო და ამის გამო ხან ვკალატოზობდი, ხან იატაკს ვწმენდავდი, ხან ვმოჯამაგირობდი, მაგრამ მაინც ყოველთვის მშიოდა. ხან სამუშაო არ იყო, ხან ადგილი არ იშოვებოდა. ერთის სიტყვით, მაძღარი არასოდეს არა ვყოფილვარ. რა ბრაზი მომდიოდა, ფუნთუშა პურების დუქნების წინ რომ ჩავივლიდი! საბედნიეროდ, ამ დროს მომაგონდებოდა ხოლმე ჩვენი მომვლელი ქალი, რომელიც მეხვეწებოდა, ყოველთვის პატიოსნად ვყოფილიყავი, და მა-

იყო — მიიღეს. ხვალ, ორშაბათს, ყველგან პარაკლისს გადაიხდიან და სწავლას შეუდგებიან.

*** ხუთშაბათს, 29 აგვისტოს, ვარაწის ხევს იქიდგან, ვერაზედ, ტფილისის მაზრის განყოფილებაში, ცეცხლი გაუჩნდა მ. გ. კარლისა და ამხ. წუმწუმის ქარხანის საწყობს, სადაც ელაგა წუმწუმის ყუთები და ხე-ტყე მასალა. ცეცხლი იმან გააჩინა, რომ მემაშინეს ძალიან გაეხურებინა მაშინა და ნაპერწკალი მოსდებოდა საწყობს. საწყობი 1,200 მან. იყო დაზღვეული, თუმცა ზარალი 3,000 მანეთამდე მოუვიდა ქარხანას. ცეცხლი თვით ქარხანასაც ემუქრებოდა, მაგრამ ცეცხლის მქრობელმა დასმა გააქრო ცეცხლი და ქარხანა გადაარჩინა.

*** ხუთშაბათს ტფილისის სპარსეთის ქვეშევრდომნი შაჰის ნასრედინის დაბადების დღესა დღესასწაულობდნენ. დილა ადრიანად სპარსეთის ელჩის სახლის წინ დიდ-ძალმა სპარსელმა მოიყარა თავი ორის სამხედრო მუსიკის ხოროთა და დროშებით. ამ ხალხის წარმომადგენელებმა ელჩს მიულოცეს ეს დღესასწაული და შემდეგ შარბათი იგემეს. მუსიკამ დაუკრა სპარსეთისა და რუსეთის საერო საგალობლები. შემდეგ ელჩს მიულოცა ბევრმა საპატიო კაცმა და სამხედრო და სამოქალაქო უწყების წარმომადგენელმა.

*** გამოვიდა მე-III წიგნი „ცდასი“, რომელიც ქუთაისში გამოდის ქართულის მწერლობის მოყვარეთა ხარჯით. ამ №-ში მოთავსებულია: 1) „პირველი ნაბიჯი“, რომანი გ. წერეთლისა, მეორე ნაწილი და დასასრული; 2) „მეფე ერეკლეს დროიდგან“, ლექსი სილოვანისა; 3) „როსტომ მეფე“, ისტორიული წერილი დ. კარიჭაშვილისა; 4) „ქალი“, ლექსი სილოვანისა; 5) „დედა და შვილი“, ამბავი დუტუ მეგრელისა; 6) „შენ გეტრფი მარად“, ლექსი გრ. ოლსკისა; 7) „იმედი“, ლექსი სილოვანისა; 8) „დონ-პედრო კასტილიელი“, თარგ. ეფ. კ—ლისა; 9) „ხალხური ლექსი“, გაგონილი ს. ხ—ძის მიერ, და 10) „სკოლა და ცხოვრება“, წერილი ნარისა. წიგნი სულ 286 გვერდს შეიცავს და ჰღირს 50 კაპ.

*** დ. არდანუჯი. წელს პურის მოსავალი უწვიმობამ იმსხვერპლა. ჯერ მოსავალს კაი პირი ჰქონდა, მაგრამ ხანგრძლივმა უწვიმობამ არ მისცა ნება პური გავსილიყო, ისე რომ რაც იმედი ჰქონდა გლეხ-კაცს, იმის ნახევარიც არ მოვიდა. დარჩა ერთად-ერთი იმედი აქაურებისათვის მხოლოდ თამბაქოა. ვისაც შეეძლო და ადგილიც ჰქონდა, დასთესა კიდეც თამბაქო, ნათესსაც საი პირი უჩანდა, და გლეხების გულს ახარებდა. მაგრამ ამ თთვის 15-ს საღამოზე სეტყვა მოვიდა და სულ ერთიანად გაანიავა. სოფლელების სიტყვით, თითო სეტყვა მტრედის კვერცხის ოდენა იყოო. ამისთანა სეტყვა, ისიც ღამე მოსული, არ უნახავს არავის. დაზარალებული სოფელი ცხრამდეა და ზარალი ათი ათასი მანეთამდე შეადგენს.

წრეულს ავაზაკების მხრით არდანუჯის განყოფილება ძალიან მოსვენებულია. ზაფხულმა ისე გაიარა, რომ არც ერთი ავაზაკობა არა ყოფილა.

ჰაერი ერთ დონეზე არ იყო, ხან გრილოდა და ხან საშინელი სიცხე იდგა. შეიძლება ეს იყოს მიზეზი, რომ სოფლებსა და აგრეთვე თვით დაბაში მოარული ავადმყოფობა გაშხირებულია, მეტადრე ბავშვებისა, რომლებიც მუცლას სხვერპლნი ხდებიან. დიდრონებში ერთ გვარი ავადმყოფობა დადის, რომელიც უფრო ინფლუენციასა ჰგავს.

*** დ. სურამი. მაზრის უფროსის განკარგულებით, სურამის მამასახლისის მიერ მომხდარი ვაჭრობა სურამის სასწორის და საკლავის იჯარით გაცემისა, როგორც მკითხველმაც უწყის, გაუქმებულ იქმნა, რადგანაც უკანონოდ ეწარმოებინა სურამის მამასახლისს და ეს ვაჭრობა ყველასათვის არ შეეტყობინებინა. 30 ივლისს ხელახლად იყო ვაჭრობა. პირველად წელიწადში 1135 მანეთად გაცემული იჯარა ეხლა 1535 მანეთად გაიცა, წინანდელზედ 400 მანეთზედ მეტად.

*** სოფ. ფარცხმა (ოზურგეთის მაზრა): ყველა გურულს სასიამოვნოდ მიგვაჩნია იმ კაცის სტუმრად მოსვლა, ვინც სწავლა-განათლებას გზას უკაფავს, წინ ლამპრად აენთება, ერთის სიტყვით, ყოველ ღონის-ძიებას ჰხმარობს, რომ სწავლა-განათლების საქმე წინ წაიყვანოს.

ყოვლად უსამღვდელოესი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი გრიგოლი აქ მობრძანდა აგვისტოს 12-სა და 13-ს ამავე თთვისას შესრულა ლიტურგია ფარცხმის წმინდა დიმიტრის ეკკლესიაში. ხალხმა საკმაოდ მოიყარა თავი. წირვის გათავების დროს მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ სიტყვის წარმოთქმა. ინება ლიტურგიის შესრულების შემდეგ მისმა ყოვლად უსამღვდელოესებამ ამავე ეკკლესიის სამრევლო სასწავლებელიც ინახულა. ბავშვების გამოცდის შემდეგ მისმა უსამღვდელოესობამ სიტყვა წარმოთქმა სწავლა-განათლების შესახებ და თან დარიგებაც მისცა პაწია ყმაწვილებს. მერე მადლობა გადუხადა მასწავლებელს და როგორც მასწავლებელს, აგრეთვე მოსწავლეებსაც საჩუქრები დაურიგა.

*** ივლისის განმავლობაში გადამდებ ავადმყოფობისაგან გარდაცვლილა ტფილისის გუბერნიაში: ტფილისში ყვავილისაგან—15 კაცი (ამათგან 1 მიხეილის ქსენონში), ხუნაგისაგან 2 (1 მიხ. ქსენონში) და მუცელასაგან 4. სიღნაღში მომკვდარა ყვავილისაგან 2. ტფილისის მაზრაში ყვავილისაგან 39 მომკვდ. (ამ თთვეში აღარ არის); სიღნაღის მაზრაში ყვავილისაგან 17 კაცი მომკვდარა, თელავის მაზრაში—34; გორის მაზრაში—მუცლის სახადისაგან 1 და მუცელასაგან—3, თიანეთის მაზრაში ყვავილისაგან მომკვდარა 3 კაცი („კავკაზი“).

*** კავკასიაში სამთო საქმეთა სამმართველოს ინჟენერები გაუგზავნია სურამსა და გორს შუა, გომის სადგურის მიდამოებში, მდ. მტკვრისა და მისის ტოტელეების გეოლოგიურ გამოკლევათათვის. ამ ადგილებში ეგულებათ შავი-ქვა, ტყვია-ვერცხლისა და სხ. მადანი. ეს სამუშაო სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ბრძანებით მოხდა, რადგან ტფილისის გუბერნიაში გეოლოგიური გამოკვლევა საკმაოდ არ იყო წარმოებული. გათავდება თუ არა ეს გამოკვლევა, ქუთაისის გუბერნიის გამოკვლევასთან ერთად უნდა წარუდგინონ სამინისტროს.

რა თქმა უნდა, თუ ინჟენერებმა სასარგებლო რამ მადანი აღმოაჩინეს ამ ადგილებში, დიდად ხელ-მოსაცემი იქნება, რადგან აქვე ძლიერ ახლოს რკინის გზა ჩაუვლის და მადნის გადატან-გადმოტანა მეტად იაფი დაჯდებაო, ამბობს გაზ. „ნოვ. ობოზრ.“.

*** 30 აგვისტოს სოფ. კუზნეტის მცხოვრებელმა ამბარცუმ სარქისოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ღამით ძილის დროს ჩემმა ამხანაგება, ალექსანდროპოლის მცხოვრებელმა მნაცაკან სიმონოვმა და სოფ. დოლაკოვსკის მცხოვრებელმა ძაურბეკ დოლგიევმა, ჯიბიდგან 50 მან. ამომაცალესო. დამნაშავენი შეიპყრეს.

*** ამავე დღესა ამაღლების ქუჩაზე, ავეტისოვის სახლში, მცხოვრებელმა ფერშლის ცოლმა პელაგია სნედკოვისამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ამ თთვის 29 სახლის ღია ფანჯრიდგან ფულის ქისა მომპარეს, რომელშიაც 12 მან. და ორი ოქროს ბეჭედი მქონდაო. დამნაშავე სიმონ ოსკანიანცი აღმოჩნდა, რომელიც შეიპყრეს და ნაქურდალიც უპოვეს.

*** 30 აგვისტოს პოლიციის მეოთხე ნაწილში მცხოვრებელმა ოპომნიანსკიმ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ამ რამდენისამე დღის წინად 8 მან. ღირებული საათი მომპარესო. ეს საათიც სიმონ ოსკანიანცს უპოვნეს.

*** ამავე დღეს ბალის ქუჩაზე პოლკოვნიკის ხელნიცკის მოსამსახურე ჯარის-კაცს მარიშევს სახლის აივანზე ძილის დროს 9 მან. და 50 კ. ღირებული საათი მოჰპარეს.

---

## არჩილური, შვიდ-თავი

(სამდროო ამიცანები)

—

ჯორს რომ ჰგავს „უცილობლობით“,
ყველა ჰკითხულობს: „ვინაო?“
არ ვიცით სხვის წინ, სხვა ენით, საიდგან მოიჩბინაო;
ბევრს უცხოს უცხოდ შეაქცევს, თავისას ბევრს უკბინაო,
არც დროს დაგიდევს, არც ადგილს,
არც კაცს, — „ვინ გააჩინაო?“
დაამცრო დიდი რაც გვქონდა და
წმინდა შეგვიგინაო,
არც ერი იცნო, არც ენა, არც ისტორიის ბინაო,
რეგვნად ჩააგდო სულ ყველა, არც
რუსთველს უშვებს წინაო...
სვრასა გვიქადის შინაო, გარედაც
შეგვარცხვინაო.

---

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დ. ხაშური**, 24 აგვისტო. გაზეთის მკითხველებმა კარგად უწყიან, რომ სურამისკენ ძლიერ გახშირებულია ცეცხლის გაჩენა. ისე წელიწადი არ გაივლის, რომ რომელსამე მხარეს სურამისასა, და განსაკუთრებით ხაშურს, ვისიმე საცხოვრებელი ცეცხლით არ გადაიბუგოს ხოლმე. ამ ცეცხლის გაჩენით ზოგი ისეთს ხეირში შედის, რომ ათას მანათიან შენობას 4,000 მანეთად და ათას მანათიანს საქონელს 5,000 მანათად ანაღდებს. რასაკვირველია, ასე მოხერხებით უფრო ვაჭრები იქცევიან. ზოგს-კი სულ ხელიდგან ეცლება თავისი საცხოვრებელი.

როგორც მკითხველებმაც უწყიან, შარშან, დამთავრდა თუ არა მუშაობა სურამის უღელ ტეხილისა და გზა აკურთხეს, სურამსა და ხაშურში ვაჭრობამ იკლო. და მამულების ფასმა დაიწია. სურამის გზის მუშაობის შემდეგ ხაშურის ვაჭრებმა, როგორც უძრავი მამულები, ისე სავაჭრო საქონელი სულ დააზღვიეს, არა თუ ერთს საზოგადოებაში, არამედ სხვა-და-სხვა საზოგადოებაში, ასე რომ ზოგმა საქონლის დასაზღვევად ქალაქიდგან მოიყვანა აგენტები, ზოგმა გორიდგან და სხ. საქონელი რომ ერთს საზოგადოებას დაუზღვიეს, შენობა მეორე საზოგადოებაში შეიტანეს დასაზღვევად.

აი ამ დაზღვეულს უძრავსა და მოძრავს საცხოვრებელს 23 აგვისტოს, საღამოს $9^1/_2$ საათზედ, გაუჩნდა ცეცხლი და სულ ერთიანად გადიბუგა.

სიმონ დევდარიანსა და ოქროპირ ბერაიას ჰქონდათ დაზღვეული სამსართულიანი ქვითკირის შენობა 9000 მანეთამდე. ეს შენობა ისე დაიწვა, რომ ორიოდე კედელი-ღაა. ამას გარდა დევდარიანს, ამ მამულის პატრონსა, და იაგორ გრიქუროვს ჰქონდათ საქონელი დაზღვეული 7000 მანეთად. ეს საქონელიც ისე გადიბუ-

---

შინვე ვიგრძნობდი შუბლზედ იმისის გაყვითლებულის ხელის სითბოს. ბოლოს, თვრამეტის წლისა რომ შევსრულდი, ჯარის-კაცად შევედი. როგორც მოგეხსენებათ, ჩვეულებრივ კარგად გვაჭმევენ, მაგრამ ეხლა, თითქოს ჩემი გამოჯავრებული, მტერმა ალყა შემოგვარტყა, და ჩემი შიმშილობაც დაიწყო. ხომ ჰხედავთ, მართალი გითხარით, რომ ყოველთვის მშიერი ვიყავ-მეთქი.

ახალგაზდა ჰერცოგს კეთილი გული ჰქონდა და როცა ეს ალსარება გაიგონა ამ კაცისაგან, რომელსაც იმისთანავე ჯარის-კაცის ტანსაცმელი ეცვა, როგორიც თითონ, მწუხარებით აევსო გული. ამ შეძლებულის კაცის შვილს, მის დღეში გაჭირვების უნახავს, უეცრად გული ამოუჯდა და ცრემლები წამოერია.

— გამიგონე, ჟაკ-ვიქტორო, უთხრა ჰერცოგმა: თუ გადავურჩით ამ საშინელს ომს და ხელ-ახლად შევხვდით ერთმანეთს, ვეცდები, რომ ეგ მუდმივი შიმშილობა აგაცილო თავიდგან. მანამდის-კი, რადგანაც ჩემი კერძი პური მეტად დიდია ჩემთვის და ვერ მოვრევივარ, მოდი ორივემ მეგობრულად გავიყოთ ხოლმე.

ჯარის-კაცმა და ჰერცოგმა მაგრად და გულ-მხურვალედ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

დაღამდა. მეგობრები დაბრუნდნენ დუქანში, სადაც ჩალაზე გაშხლართულიყო თორმეტიოდე ჯარის-კაცი და ტკბილად ეძინათ. ესენიც გვერდში მოუწვნენ ამხანაგებს და ძილს მისცეს თავი.

შუა-ღამისას ჟაკ-ვიქტორს გამოეღვიძა, უთუოდ შიმშილის გამო.

ქარს გაეფანტა ღრუბლები და ფანჯრიდგან შემოპარული მთვარის სხივი ახალგაზდა ჰერცოგის ქერა და ლამაზს სახეს მისდგომოდა. ჟაკ-ვიქტორი აღტაცებით შესცქეროდა თავისს მეგობარს... ამ დროს უეცრად მორიგმა უნტერ-აფიცერმა კარი შემოაღო და ხუთი ჯარის-კაცი გაიხმო, ის ჯარის-კაცები, რომელთა რიგი იყო დარაჯობის გაწევისა. ამ ხუთ შორის ჰერცოგიც ერია, მაგრამ ყმაწვილ-კაცს ტკბილად ეძინა და არ გაუგონია, როცა იმისი სახელი დაიძახეს.

— გარდიმონ, ადექი! დაიძახა უნტერ-აფიცერმა.

— თუ ნებას მომცემთო, უთხრა წამოწეულმა ჟაკ-ვიქტორმა: მე ვიდარაჯებ ამის მაგიერ. ძალიან ტკბილადა სძინავს, ცოდვაა ამის გამოღვიძება, და, ესეც არ იყოს, ჩემი ამხანაგია...

— შენ იცი!

ხუთი ჯარის-კაცი გავიდა.

ნახევარ საათს შემდეგ ღამის დუმილში იქვე მახლობლად აჩქარებული თოფის ხმა გაისმა. იმ წამსვე ყველანი ფეხზედ წამოხტნენ: ჯარის-კაცები შემართულის ჩახმახით გამოცვივდნენ დუქნიდგან და ყურება დაუწყეს გზას, რომელიც მთვარის სხივს თეთრად გაეკაშკაშებინა.

— რამდენი საათიაო? იკითხა ჰერცოგმა: მე ამაღამ დარაჯად უნდა ვყოფილიყავ.

ვიღაცამ უპასუხა:

— ჟაკ-ვიქტორი წავიდა თქვენ მაგიერ.

ამ დროს გზაზე გამოჩნდა ჯარის-კაცი, რომელიც სირბილით მოდიოდა.

— რა ამბავია? ჰკითხა ყველამ, როცა შესდგა და მძიმედ დაიწყო ქშინვა.

— პრუსიელები დაგვესხნენ თავს... უკან დავიწიეთ.

— ამხანაგები სად-ღა არიან?

— ისინიც მოდიან... მხოლოდ საწყალი ჟაკ-ვიქტორი გვაკლია...

— რას ამბობ? შესძახა ჰერცოგმა,

— მოჰკლეს საწყალი!... საბრალომ კრინტის დაძვრაც-კი ვერ მოასწრო, ისე ამოხდა სული . . .

. . . . . . . . . . . . .

—

ერთხელ, ზამთრის ერთს ღამეში, ჰერცოგი დე-გარდიმონი და იმისი მეგობარი გრაფი დე-სონი ერთად გამოვიდნენ კლუბიდგან. ყმაწვილს კაცს ის-ის იყო რამდენიმე ათასი ოქრო წაეგო და თავს იტკიებდა.

— მოდი, ანდრე, ჩვენ ფეხით დავბრუნდეთ სახლშიო, უთხრა თავის თანამგზავრს, წმინდა ჰაერია.

ორივემ გაისტუმრეს ეტლები, ქურქის საყელოები აიწიეს და მადლენის ბულვარისკენ გასწიეს. უეცრად ჰერცოგმა რაღაცას წაჰკრა ფეხი. ეს რაღაცა მოზრდილი პურის ქერქი იყო, ტალახში ამოთხუპნული. გრაფი დესონი გაკვირვებით შესცქეროდა, როცა ჰერცოგმა დე-გარდიმონმა აიღო ეს ქერქი, დიდის სიფრთხილით გასწმინდა თავისის აბრეშუმის ხელსახოცით და იქვე ხის სკამზედ დასდო ისეთს ალაგას, სადაც ფარნის შუქით განათებული იყო და კარგადა სჩანდა.

— რას სჩადიხარ, ხომ არ გადირიეო? სიცილით ჰკითხა გრაფმა.

— ნუ იცინი, თუ ღმერთი გწამს, თუ არ გინდა ძალიან მაწყენინო, უპასუხა ჰერცოგმა ოდნავ აკანკალებულის ხმით: მე ეს პური აქ იმ კაცის მოსაგონებლად დავდე, რომელმაც ჩემის გულისათვის თავი გასწირა.

კასკა ერისთავი

გა, რომ აბაზისა არ მოუნარჩუნებიათ-რა... ამ შენობის მესამე სართულში სასტუმრო ჰქონდა გრიგოლ თევდორაძეს, 3000 მანათად დაზღვეული. ცოტაოდენი ავეჯი და საქონელი ამანაც გადაარჩინა. ამ შენობის გვერდზედ არუწოვის შენობაში საქონელი ჰქონდა დაზღვეული ელიად. გრძელოვს 5000 მანათად და სულ გადაარჩინა. ისე ხერხიანად მოუვიდა საქმე, რომ 20 მანეთი ზარალი არ მოსვლია. ამისავე გვერდით ჰქონდა დაზღვეული 4000 მანათამდე ნერსეს ადამოვსა და ამანაც სულ გადაარჩინა.

ყველაზედ დიდი ზარალი მოუვიდა ივანე აბზიანიძესა, რომლის დუქნიდგანაც დაიწყო ცეცხლი. დაზღვევის ვადა გასულოდა და 4000 მანეთის საქონელი დაეწვა. როგორც ლაპარაკობენ, ამ აბზიანიძის ბიჭს ლამპარი გავარდნია ხელიდგან და ისე გაჩენილა ცეცხლი. ეს მოსამსახურე აბზიანიძისა პოლიციამ დააპატიმრა. ბოროტი ენები ამბობენ, რომ იქნება ვაჭრებისაგან იყო მოსყიდული და განგებ გააჩინა ცეცხლიო. დაჭეშმარიტებით არავინ არა იცის-რა. გამოძიება, რასაკვირველია, დაწვრილებით აღმოაჩენს ყოველსავე.

## მილდიუსაგან ვენახების განადგურება საფრანგეთში.

ჟურნალ „Le progrès agricole et viticole“-ს მე-29 №-ში იწერებიან, რომ წრევანდელისთანად მილდიუს საფრანგეთში ვენახები არასოდეს არ გაუნადგურებიაო. აღმოსავლეთიდგან დასავლეთამდე, სამხრეთიდგან ჩრდილოეთამდე ერთი და იგივე აჩივარი ისმის. ცხელი და ნოტიანი ამინდი, რომელიც თითქმის მთელის თავის განმავლობაში იდგა, მიზეზად გაუხდა და გავრცელდა სენიო.

„როგორც მოსალოდნელი იყო, აქა-იქ საფრანგეთში დაიწყეს კიდეც ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მამულის პატრონები ეჭვში არიან და არა სჯერათ, რომ უებარი იყოს ვენახების წამლობა შაბიამანით შენელებულის წამლით, რადგანაც ზოგი შაბიამანით ნაწამლი ვენახი ადგილ-ადგილ მაინც კიდევ არის მილდიუთი დაზიანებულიო. ჩვენ კიდევ იმ აზრს ვადგევართ, რომ, თუ დაგვიმტკიცებს შაბიამანის გავლენას, ისევ ეს წელიწადი დაგვიმტკიცებს, თუ, რასაკვირველია, ვენახებს რიგიანად და თავის დროზედ ეწამლა.

„მართლაც-და, როგორც ნაწამლი, ისე უწამლი ვენახები რომ დაათვალიეროთ, ორივეზედვე ჰნახავთ მილდიუს სენს, მაგრამ დიდი დაკვირვება არ უნდა, რომ კაცმა დაინახოს, რა რიგად ერჩევა ერთმანეთში ნაწამლი და უწამლი ვენახები. ნაწამლს ვენახებში მილდიუს ჰნახავთ ვაზის წვერებზე, ნამკვრევებზე, რომლებსაც სენი წამლობის შემდეგ მოსდებია, და ფოთლებზე-კი იშვიათად შეგხვდებათ, ისიც წინწკალ-წინწკალად. რაც შეეხება ყურძენს, იქამდე კარგად არის, რომ, იმედია, ერთ ნაირად დამწიფდება და ბოლომდის თავს გაიტანს. უწამლს ვენახებში-კი ისეა ვაზი თავიდგან ბოლომდის სენით მოდებული და დაჩითული, რომ თუ არა ეშველა-რა, საკვირველი არ იქნება, თუ პატრონს მთელი მოსავალი ხელიდგან გამოეცალა. ამ მხრით აქაური სამეურნეო და ღვინის კეთების სასწავლებლები გასაოცარს სანახაობას წარმოგვიდგენენ. აქა ჰნახავთ განგებ უწამლოდ დატოვებულს ვენახებსაც და ნაწამლსაც, რომელსაც შორიდამვე ეტყობა სიკეთე. იმ მამულის პატრონებს, რომლებსაც ჯერ-ჯერობით არა სჯერათ ვენახების წამლობა, ვურჩევთ წავიდნენ და ჰნახონ ის ვენახები და მაშინ დარწმუნდებიან.

„ზოგიერთი ვენახის პატრონი ამბობს, რომ ჩვენი ვენახები ცოტაოდენად მაინც წახდა, თუმცა ვუწამლეთო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ამათ მაშინ დაუწყეს წამლობა თავისს ვენახებს, როდესაც სენი ვაზებში დაბუდებული იყო. ვენახების წამლობა ხარჯს მოითხოვს და ამის გამო სანამ სენს ვერა ჰხედავენ, საშემდეგისოდ გადასდებენ ხოლმე, ჩვეულებისამებრ, წამლობას, და აი ეს გარემოება სწორედ იმის ბრალია. წლითი-წლობამდე ვამბობდით და კიდევ ვიმეორებთ, რომ ვენახებს წამლობა დროზედ სჭირიათ, ბევრად ადრე უნდა დაეწყოს სენის გამოჩენამდე, და, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენის მკითხველების უმეტესობას ჯერაც არ ესმის.

„ბევრმა მოგვმართა და იკითხა: სასარგებლოა, თუ არა ვენახების წამლობა, რომლებიც სენ-მოდებულია და მოსავალი პატრონს ხელიდგან მისდისო, და ან შეიძლება-ღა ამისთანა ვენახების წამლობაო? ვუპასუხებთ: ამისთანა ვენახებსაც უთუოდ უნდა ეწამლოს. რაც ხელიდგან წასულია, იმას აღარა ეშველება-რა, და რაც დარჩა, იმას კიდევ ეშველება და საგაისოდ სამამულედ რქა გაკეთდება. ამისთანა დასახიჩრებულ ვენახებისათვის უნდა მომზადდეს $2^{0}/_{0}$ წამალი“ *).

აი, ასეთი ხმები გაისმოდა საფრანგეთში ვენახების წამლობის შესახებ მკათათვის დამდეგს.

დანარჩენი შემდეგ.

ვ. ი—ნ—ი

*) ესე იგი ერთს ჩაფს წყალზე 1 გირვანქა შაბიამანი უნდა იყოს ხმარებული.

## წვრილი ამბავი

იმ ქალებს, რომელნიც ოც-და-ათს წელიწადს უკვე გადაცილებულან და ცოლ-ქმრული ცხოვრება ჯერ არ უგემნიათ, ეხლა შეუძლიათ ნატვრა აისრულონ არგენტინის რესპუბლიკაში. წარმოიდგინეთ, ამ ქვეყანაში ყოველ დედაკაცზედ სამოცი მამაკაცი ითვლება! ხალხი დიდს აღტაცებაში მოდის ყოველთვის, თუ ვისმე ქალიშვილი დაებადა და ან ქალი გადასახლდა საიდგანმე იქ სხვა ქვეყნიდგან. ამ ქალს მაშინვე შეუძლიან ამოირჩიოს დიდ-ძალ მოქიშპეთა შორის საქმრო. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მამაკაცები ათასს ხერხსა და ხრიკსა ჰხმარობენ, რომ თავი მოაწონონ როგორმე ჯერ ქმარ-შეურთველს ქალს და თავი თვისი ამოარჩევინონ. თითქმის გმირად ითვლება ის, ვისაც გააბედნიერებს ყმაწვილი ქალი (ხნიერსაც არა უშავს-რა). ადგილობრივი გაზეთები დიდის რიხით სწერენ ამ არჩევანის ამბავს და მთელს გაზეთის სვეტებს ავსებენ. მთელი ქალაქი იყრის თავს იმის ქორწილზედ დასასწრებლად. რაც უნდა პრანჭია და წუნია ქალი იყოს, ადვილად მოსძებნის თავისს გემოვნების ქმარს, რადგან მსურველნი მეტად ბევრნი ახვევიან გარს. არშიყობა და არჩევანი სამს დღეზედ მეტს არ გასტანს ხოლმე.

— ინგლისის „Hooker და Crowden“-ის ქარხანას ძალიან კარგი მანქანა მოუგონია ცხენის რკინის გზის ვაგონებისათვის. როგორც ვუწყით, ეხლა ამ რკინის გზის ცხენებს უმეტესად ისა ჰკლავს და ისა ჰქანცავს, რომ ვაგონს ჩქარ-ჩქარა აყენებენ და ცხენებს იმისი დაძვრა სჭირდებათ. ეს ახალი მანქანა სწორედ ამ ნაკლს ჰშველის. მანქანა არამც თუ მარტო სწრაფად აყენებს ვაგონს, არამედ სწრაფადვე სძრავს ადგილიდგან და თითქმის თორმეტს საყენამდე მიჰყავს. ეს მანქანა იწონის სულ $24^1/_2$ ფუთსა და ეხლანდელი ადგუა-კი სულ 7 ფუთს.

— აი როგორ მრავლდებიან ერთს ლიტრა რძეში მიკრობები. მოწველისთანავე თუ არა და ერთი საათი გაივლის, ლიტრაში, როგორც გამოუკვლევიათ, უკვე 9 მილ. მიკრობია. სამის საათის შემდეგ ეს 9 მილიონი 40 მილიონი ჰხდება, ოთხს საათს უკან—130 მილიონი და 25 საათს შემდეგ-კი—63,500 მილიონი.

— ამერიკის გაზეთების სიტყვით, პროფესორს გოლდენს ლიკსის ობსერვატორიდგან (კალიფორნიაში) გადაუღია რამდენიმე მეტად კარგი სურათი მთვარისა. ამ სურათში მთვარის ერთს მთაზედ რაღაცა ბრწყინვალე ლაქაა. პროფესორი გოლდენი იმ აზრისაა, რომ ეს ლაქა უთუოდ თოვლის ზვინები უნდა იყოსო. თუ ეს აზრი გამართლდა და მთვარის მთებზედ თოვლი აღმოჩნდა, მაშინ ის აზრიც გამართლდება, ვითომ დედამიწისთანა ჰაერია მთვარეზედაცაო.

— ინგლისის სამკურნალო ჟურნალი „The Lancet“-ი იუწყება, რომ ძველს ინდოელებს „შხამიანი დედაკაცები“ ჰყავდათო. ეს დედაკაცები პატარაობიდგანვე მიჩვეულნი იყვნენ შხამისა და საწამლავის ჭამას და მასთან ფურთხიც შხამიანი ჰქონდათო. ძველი მწერლები ამბობენ, რომ ასეთს დედაკაცებს ინდოელები მტრების მოსასწამლავად ინახავდნენ. ასე წარმოიდგინეთ, ამ დედაკაცების ფურთხი ცხოველს რომ აელოვნა, მაშინვე კვდებოდა, და ბუზები ერთის ნაბიჯის სიახლოვეზედაც არ ეკარებოდნენ ამ „შხამიანს დედაკაცებსაო“.

## გასართობი

ფრიდრიხ დიდს ძალიან უყვარდა ბაასი და კამათი, ხოლო რადგან თავისს ბაასს ყოველთვის იმითი აბოლოვებდა, რომ წიხლსა ჰკრავდა ხოლმე მუხლში თავისს მოწინააღმდეგეს, ამიტომ იშვიათად-ღა თანხმდებოდა ვინმე იმის წინააღმდეგ ლაპარაკს. ერთხელ ფრიდრიხი ლაპარაკის გუნებაზედ იყო და ჰკითხა ერთს კარის-კაცთაგანს:

— რატომ თქვენს აზრს არ გამოსთქვამთ ამ თქვენ მიერვე აღძრულ საგნის შესახებ?

— შეუძლებელია, თქვენო უდიდებულესობაო, უპასუხა კარის-კაცმა: ძნელია აზრის გამოთქმა იმ ხელმწიფის წინაშე, რომელსაც აგეთი მაგარი ჩექმები აცვიაო.

**

ქუჩაზედა ვართ...

— მოწყალება მოიღეთ, ღვთის გულისათვის...

— ერთს შაურს მოგცემდი, მაგრამ, თუმნიანის მეტი, ხურდა ფული არა მომეძევება-რა...

— ნუ შესწუხდებით, მე დაგიხურდავებთ, მხოლოდ დახურდავებისთვისაც ორიოდე გროში წაუმატეთ თქვენს მოწყალებას...

**

ერთმა პირის პატივის მცოდნე კაცმა მთელი თავისი ქონება გაჭფლანგა და მხოლოდ კარგად ჭამისა და გაძღომის ჩვეულება-ღა შერჩა. დადიოდა ნაცნობებში სწორედ სადილობის დროს და პირს იმტკბარუნებდა. ერთხელ შევიდა ერთს სახლში და ჰნახა, რომ მთელი ოჯახი — ოთხი სული სუფრას უსხდნენ. მასპინძელმა წარბი შეიკრა, მაგრამ მაინც მიიპატიჟა... შემოიტანეს ოთხი შემწვარი ვარია.

— უკაცრავად, ბ-ნო უძღომელაძე, არ მოგელოდდით, ოთხი ვარია შევაწვევინეთ და ხუთად განაწილება ძნელია...

— რასა ბრძანებთ, რად არის ძნელი!...

— აბა გაანაწილეთ.

— ინებეთ. თქვენა და თქვენს ცოლს ერთი ვარია, სულ სამი იქნებით, არა? ვანოსა და სიკოსაც ერთი ვარია, აქაც ხომ სამი გამოვა? მე და ორიც ვარია, ესეც სამი...

**

სასამართლოში...

თავმჯდომარე: ეს მერამდენედ გიჭერენ, არა გრცხვენიანთ? ნუ თუ სინიდისი არ გაწუხებთ, მაგდენს რომ ქურდობთ?!

ბრალდებული. დიაღ, მაწუხებს, ბ-ნო მოსამართლევ, რასაკვირველია, მაწუხებს, მაგრამ სინიდისია, თუ არა, ეს-კი არ ვიცი.

**

ბრძენი მონარხიის მომხრე.

რამდენიმე მუშა-კაცი პარიჟში ბაასობდნენ რესპუბლიკის შესახებ. განსაკუთრებით ერთი დიდი წინააღმდეგი იყო კომუნიზმისა. უცებ ვიღაცამ ჰკითხა:

— კომუნიზმი რა არის?

ამ მუშა-კაცმა პასუხის მაგიერ გადიძრო თავისი ძველი ხალათი, ჯერ ორად გადახია, მერე—ოთხად, შემდეგ—რვად, დაურიგა ეს ნაჭრები და დაიძახა:

— შეხედეთ: მანამ მთელი იყო ხალათი, სარგებლობა მოჰქონდა, ეხლა ყველამ თანაბრად გავინაწილეთ და არც მე-ღა მარგია რამე და არც თქვენა. აი ეს არის კომუნიზმი!

**

მეხაშესთან ერთი კაცი შევიდა და ორის შაურის ხაში გააკეთებინა. მოუტანეს. კოვზი რომ მოურია, შალვრის ექვსი ფოლაქი ამოაყოლა.

— მეხაშევ, ეს რა არის?

— ვინ ამბობს, ცოტაა, მაგრამ, დალოცვილო, ორ შაურად მთელს შალვარს ვინ მოგცემდაო? უპასუხა მეხაშემ.

## დეპეშა

28 აგვისტო

**პეტერბურგი.** ის ხმა, ვითომ შავსა და აზოვის ზღვებში რკინის გზებზედ პურის გადასატანი ფასი მომატებულიაო, ტყუილი გამოდგა.

29 აგვისტო

**პეტერბურგი.** „Новости“ იუწყება, რომ იმ გუბერნიებში, სადაც ხალხი მოუსავლობით არის დაზარალებული, მეტის-მეტ მიწერ-მოწერის აღსაკვეთლად, დაწესებული იქმნება განსაკუთრებული საბჭონი შიმშილობის ასაცილებლად და ხალხის საშველად. ამ საბჭოს თავმჯდომარედ გუბერნატორი უნდა იყოს და მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე ადმინისტრაციისა და ერობის წარმომადგენელთა და საგუბერნიო თავადაზნაურობის წინამძღოლთაცაო.

გუშინ, ყაზანის ტაძარში გარდახდილ სამადლობელ პარაკლისს შემდეგ, მოქმედება დაიწყო პეტერბურგის საეპარქიო კომიტეტმა, რომელმაც შემწეობა უნდა შეჰკრიბოს დამშეულთა სასარგებლოდ. ამ კომიტეტში პურსაც მიიღებენ.

გაზეთები იუწყებიან, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი ვისბადენსა და ვენგრიაში მიდისო. ვისბადენს სამკურნალოდ არის წასული მეუღლე მინისტრისა.

**პარიჟი.** საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად ნამყოფი გრევე გარდაიცვალა.

**პეტერბურგი.** ამ 28 აგვისტოს (9 სექტემბერს) ნიუ-კესტლიადგან დეპეშით იუწყებიან, რომ აქ კონგრესი შესდგა ხელოსნების კავშირისა და დაადგინა, რომ ყველა ხელოსანმა დღეში რვა საათზედ მეტი არ უნდა იმუშაოსო. ეს დადგენილება დამტკიცებულ იქმნება კიდეც, თუ წევრთა უმეტესობა კენჭის-ყრით წინააღმდეგი არ გაუხდა ამ საქმეს.

**ნიუ-იორკი.** „New-Iork Herald“-ს დეპეშით აუწყებენ სალვადორიდგან ამ 28 აგვისტოს (9 სექტემბერს), რომ აქ მიწა იძრა და რამდენისამე მილიონის ქონება დაილეწა, რამდენიმე ქალაქი დაინგრა და დიდ-ძალი ხალხი დაიხოცაო.

30 აგვისტო

**პეტერბურგი.** ებოძათ: ინფანტერიის გენერლობა: ბამხედრო-სახომალდო გამგეობის უფროსს იმერეტინსკის, მე-3 არმიის კორპუსის უფროსს ალხაზოვს; კავალერიის გენერლობა: კავკასიის არმიის კორპუსის უფროსს თ. ჭავჭავაძეს, კავკასიის მთავარ-მმართებელს შერემეტევს; წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი: დაღესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორს თ. ჭავჭავაძეს.

გუშინ ვარშავის რკინის გზით წავიდა ფინანსთა მინისტრი.

**კოპენჰაგენი.** ხვალის ხომალდ „Палар. Звѣзда“-ზედ გასამართ საუზმეზედ მოპატიჟებულნი არიან დანიის სამეფო გვარეულობა, რუსეთის მისსია და საელჩო, კარის-კაცნი, მათ უდიდებულესობათა მხლებელნი და სხ. საუზმე 200 სულისათვის მზადდება.

**ლონდონი.** შანხაიდგან დეპეშით აუწყებენ „Standard“-ს, რომ ყველა იტანგის მცხოვრებნი, ელჩებს გარდა, ხანკოუს გარდაიხვეწნენ. რადგან მდინარეში წყალი ძალიან დაბლა სდგას, გემები ქალაქს ვერ უახლოვდებიანო.

**პეტერბურგი,** 31 აგვისტო. ბათუმიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ დღეს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, აქ მობრძანდნენ დიდნი მთავარნი გიორგი ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე ამალითურთ სამხედრო ხომალდ „ერეკლიკით“. მათ უმაღლესობათ დაუხვდნენ კავკასიის მთავარ-მმართებელი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, ციხის უფროსი და ქალაქის საბჭო. ქალაქის თავმა მათ უმაღლესობათ პურმარილი მიართვა. მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორების სახელ-წოდების დღესასწაულის გამო „ერეკლიკზედ“ სამადლობელი პარაკლისი იქმნა გარდახდილი ადგილობრივ სამღვდელოების მიერ.

**კოპენჰაგენი.** გემ „Поляр. Звѣзда“-ზედ გამართულ საუზმის დროს ხელმწიფე იმპერატორმა ინება დღეგრძელება დანიის მეფე-დედოფლისა და სამეფო გვარეულობისა; მეფემ სამაგიეროდ გადაუხადა და ხელმწიფე იმპერატორი ადღეგრძელა. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ინება დღეგრძელება საბერძნეთის მეფე-დედოფ-

ფლისა, სამეფო გვარეულობისა და აგრეთვე უელის პრინცისა, პრინცესასი და მთელის იმათის ოჯახობისა. საუზმეს შემდეგ უმაღლესნი გვამნი წაბრძანდნენ ფრედენსბორს, სადაც სალამოზედ სადილი იყო გამართული.

**პარიჟი.** მამულის-მოყვარეთა საზოგადოება შეიკრიბა საიდუმლო სხდომაზედ და გადასწყვიტეს, რომ დღეს „ოპერის“ მოედანზედ მანიფესტაცია მოვახდინოთ ოპერა „ლოენგრინის“ წარმოდგენის წინაალმდეგ და ვიძახოთ: „გაუმარჯოს საფრანგეთს, გაუმარჯოს რუსეთსაო!“ პოლიციის პრეფექტმა შესაფერი ღონისძიებანი იხმარა, რომ საზოგადოებას თავისუფლად შეეძლოს თეატრში მისვლა-მოსვლა.

პეტერბურგის ბირჟა, 27 აგვისტო

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი. | | გაყიდულნი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, | 65 | 7, | 68 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 153 | | 154 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, | 14 | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | ,, | — | ,, | 238 | |
| —მეორისა . . . . | — | ,, | — | ,, | 229 | |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 212 | | — | ,, | 210½ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## „ივერიის“ ფოსტა

დ. ყ—ლა. ი. კ—ძეს. დიდად ვწუხვართ, რომ მოძღვარიც ცუდი გყოლიათ და ბოქაულიც, მაგრამ თქვენს წერილსკი, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, მაინც ვერ დავბეჭდავთ.

ა—მ კე—ას. თქვენის ლექსის ერთს ალაგას თქვენვე ამბობთ:

„თვითვ იგრძნობ ჩემთვისა წერა
და მის გაგზავნა რა ზიანია!“-ო.

ვიგრძენით, გავიკვირვეთ, რაღად გარჯილაო, და დავიწყების კალათაში ვუკარით თავი.

ქ—ი. ს. ხ—ეს. თქვენი ლექსი მეტად დაგვიანებულია.

ლ. ორ—ლს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

ლ—ხი. თ. ი. ვ—ს. ვწუხვართ, რომ ვარდი გაგქრობიათ, მაგრამ თქვენს ლექსს მაინც ვერ დავბეჭდავთ, რადგან ვშიშობთ, ჩვენს მკითხველებს მაგის კითხვით კითხვის ხალისი არ გაუქრეთ...

ქ—ი. დ. კ—ს. თქვენი „უკანასკნელი დღე“ მეტად გაჭიანურებულია და.... ვერ გამოვიყენებთ.

სოფ. ს—ო. თ. ს. ლ—ძეს. ღმერთმა შეუნდოს და განუსვენოს, მაგრამ... კარგს იზამდით, რომ თქვენს მოლექსობასაც განსვენებას ეტყოდეთ.

ფ—ი. ს. გ—ლს. იწერებით „სანთლის წვერია, თავის იდეალად მზუქე გამოუსახავს, ანანოს მქისესავით წვერები აქვს შეღებილი და დილა ადრიანად დაბრძანდებაო“ და განსვენებული ცუდის სიტყვებით მოიხსენიაო. თუ აგეთია, მაგისთანა კაცის შესახებ წერა-კი ღირს?.. მოიგონეთ თ. მამის ექსპრომტი და იმითი მოიოხეთ გული.

სოფ. მა—თი. თ—რე კ—ძეს. კე-

რძო სასწავლებლის განცხადება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბეჭდება, თუ ფულს გადაიხდით.

ჯ—სი. მ. ბა—ძეს. თქვენი ნათარგმნი რომ მოგვივიდა, ეგეგე მოიხსენიება უკვე სხვისაგან გვქონდა მიღებული და დასაბეჭდადაც დამზადებული იყო.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმად მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.



# განცხადებანი

## ბორჯომის მამულის გამგეობა

მოიწვევს მსურველს, აიღოს თევზის ჭერის იჯარა ტაბაწყურის ტბაში. სიტყვიერად და წერილობით პირობათა განცხადება შეიძლება მხოლოდ ამ წლის 15 ენკენისთვემდე.

დაწვრილებით პირობათ შეტყობა შეიძლება ყოველდღე მამულების კანტორაში. (3—106—3)

„ქართველთა ამხანაგობის“
წიგნის მაღაზია

## 1-ლ სეკტემბრიდამ

გადავა საკუთარ სადგურში იმავე (ლორის მელიქოვის) ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, კუთხეში. (5—0—5)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
## წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით | | |
| ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна . . | „ | 3 |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |

## საკომერციო კურსები
### ქალებისა და ვაჟებისათვის
წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1891—92 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება საწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერიის მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგოროის ქუჩებზე, ათონის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—94—15)

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

## სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა

და ვღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშს, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—14) ქარხნის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

## დ ა ნ ი ა

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—18)

## ა. რალლე და ამხ.
მოსკოვში
სასახლის იჯარადარი

ახალთ-ახალი

საპონი

მე-XX საუკუნისა
თეთრი იასამანი
ყაზანლიკის ვარდი
ყრუახისა
საამზნაურო

ზამბახისა
სპარსეთის იასამნისა
თეთრის იასამნისა
მინდვრის ყვავილებისა
თათრულის თეთრის იისა

ვაზელინის საპონი—ვაზელინის პომადა

Iსყიდება რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა. 5—მ—5

ეს განცხადება დაბეჭდილია „Правит. Вѣстн.“-ის 91 წ. 16 მარტის №-59 №-ში.

გამოვიდა და ისყიდება
„ქართველთა ამხანაგობის“
წიგნის მაღაზიაში:
პირველი სამი ტომი

## ა. ყაზბეგისა

(ა. მოჩხუბარიძისა)
თხზულებისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი

ფასი ცალკე თითო ტომისა — — — — — 1 მ. 20 კ.
მშვენიერის ყდით საუკეთესო ქაღალდზე თითო ტომი — 2 მ. 50 კ.
ხოლო სამივე ტომი ერთად — — — — — 7 მ. „

ამ ტომებში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: ელგუჯა, ციკო, ელისო, მამის-მკვლელი, განკიცხული, მოძღვარი და ციცია, და სულ სამივე ტომი შეიცავს ერთად 1400 გვერდს.

წიგნები ისყიდება აგრეთვე „ქართველთა ამხანაგობის“ აგენტებთან: სოხუმში—ფილიპე ერქომაიშვილი, ბათუმში—ბესარიონ კალანდაძე, ფოთში—კონსტანტინე ნოდია (წიგნის მაღაზია), ოზურგეთში—კონსტ. თავართქილაძე და მამინაიშვილი (წიგნის მაღაზია), ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნის მაღაზია), დ. ზესტაფონში—იოს. კაკაბაძე, მირულაში—ილია ჭიჭინაძე, ბაღდათუბანში—ანდრ. შაფათავა, საჩხერში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია), განჯაში—იაკ. ნოდია, თელავში—მიხ. ცისკარაშვილი, სამტრედიაში—გოდერძიშვილი და სიღნაღში—ნიკ. იოსელიანი. (0—2)



Дозв. ценз. Тифлисъ, 31-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი ზრ. ჭიჭინაძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.